№ 94 3 ენკენისთვე, პარასკევი 1866—1876 3 ენკენისთვე, პარასკევი № 94

დროება

ГАЗЕТА „ДРОЭБА“

ГАЗЕТА „ДРОЭБА“ ВЫХОДИТ ВЪ ТРИ ДНИ: ПОНЕДѢЛЬНИКЪ, ПЯТНИЦУ И СУББОТУ

РЕДАКЦІЯ

ВЕЛИКАГО КНЯЗЯ ИЛЬИНСКАГО ПОДВОРЬЯ.

ХЕЛИС-МОЦѢРА

РЕДАКЦІЯ ГАЗЕТЫ „ДРОЭБА“.

ГАЗЕТИС ФАСИ

ГОДОВАЯ—8 МАН., ПОЛУГОДОВАЯ—4 МАН. И 50 КАП., ТРЕХМѢСЯЧНАЯ—1 МАН.

ОТДѢЛЬНЫЙ НОМЕРЪ—ОДИНЪ ШАУРИ.

ГАМОЦДИС КВІРАОБИТ, ОТХШАБАТОБИТ ДА ПАРАСКЕВОБИТ

ГАНЦХАДЕБА

ПРИНИМАЕТСЯ ГРУЗИНСКІЙ, РУССКІЙ, АРМЯНСКІЙ И ФРАНЦУЗСКІЙ ЯЗЫКИ.

ГАНЦХАДЕБИС ФАСИ

ЦѢНА ОБЪЯВЛЕНІЙ: ПЕЧАТНАЯ СТРОКА—1 КАП., ПОВТОРНАЯ—8 КАП., ЦИЦЕРОНОВАЯ, ПОЛУТОРНАЯ—5 КАП. И ПЕТИТОВАЯ—4 КАП.

ТУ САЧИРОЕБА МОИТХОВС, РЕДАКЦІЯ ГАСАСУХОРЕБС ДА ШЕАМОКЛЕБС ГАМОГЗАВНИЛ СТАТИЕБСА.

ДАУБЕЧДЕЛИ СТАТИА АВТОРСА АР ДАУБРУНДЕБА.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

დღიური

ჩვენ მივიღეთ გაზეთში დასაბეჭდათ ეს წიგნი ერთის სამღვდელო პირისაგან:

„მისმა ყოვლად-უსამღვდელოესობამ საქართველოს ექსარხოსმა, აგვისტოს ოც-და-ცხრას, როდესაც ეკლესია დღესასწაულობს იოანე ნათლისმცემლის თავისკვეთას, საკათედრო სობოროში წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც ამტკიცებდა, რომ წინასწარმეტყველი და ნათლის-მცემელი იოანე მოიკლა ჭეშმარიტებისათვისო; ვერ მოითმინაო, რომ არ ემხილებინა წინაალმდეგი ქცევა კაცობრიეის სეინიდისისა და ჭეშმარიტის სჯულისა, რომლის მხილებაზედაც ის ვერ დაობრკოლა ვერც საპყრობილემ და ვერც სიკვდილმა. ის თავმოკვეთილიც ღაღადებდა ირადის ბოროტს და უსჯულო ქცევასო და სხვ.

„ზემოხსენებულს აზრს ყოველადუსამღვდელოესობამ შეათანასწორა აწმყო უსამართლო, უკაცობრიეო, ბარბაროსებრიეი ქცევა ოსმალებისა ბალკანის ნახევარ-კუნძულზედ მცხოვრებთ ქრისტიანებთადმი; მათს ბრძოლას არ აბრკოლებს არც შინაგანი და არც გარეგანი ნაკლულევანება, არც შიმშილ-სიტიტვლე და არც დათხევა უძვირფასესის სისხლისა! იმათ ჰსწამსთ, რომ „ჭეშმარიტება არ იძლევა და არც დაითრგუნება“ და თუ, წინაალმდეგ ამისა, ისინი მოისპობიან და დაითრგუნებიან, მაშინ მათი ცარიელი უმემკვიდრო სამშობლო, შელებილი მართალთ სისხლით, იქნება მარა დასახსოვრად ჭეშმარიტებისა და კაცობრიობისათვის თავშეწირულთა მცხოვრებთა.

„ამ სიტყვამ ფიცხელი სიყვარული და შემბრალებლობა უბედურის ხალხისა შთანერგა და განაცხოველა მსმენელთ გულში.

„შემდეგ სალმრთო მსახურებისა, ყოველად უსამღვდელოესობამ გარდმოსცა დეკანოზს ი. ბასხაროეს რეული ხელის მოსაწერად სლავიანებისთვის შემწირველთა; პირველს ფურცელზედ თვითონვე მოაწერა ხელი 200 მანეთზედ და უბრძანა: წინადადება მიეცესთ ყველა სასულიერო პირთ, როგორც სამღვდელოთ აგრეთვე ჩინოვნიკებს კანტორისა და კანცელარიისას და მასწავლებელთ სასულიერო სასწავლებლებისა. ეს წინადადება სამღვდელოებმა როგორც პირველთ პირთ აგრეთვე უკანასკნელთა დიდის სიამოვნებით და თანაგრძნობით მიიღეს, და იმავე დღეს მოაწერეს შემდეგ პირთ:

„ოველად-სამღვდელო ეპისკოპოზმა ალექსანდრემ—500 მ., მონასტრის სუმიდგან 200 მ.

არხიმანდრიტმა მაკარიმ—15 მ., მონასტრის სუმიდგან—100 მ.

ქათედრის დეკანოზმა ი. ბასხაროემა—15 მ.

დარიის მონასტრის არხიმანდრიტ კესარიოსმა—10 მ., მონასტრიდამ 10 მ.

დეკანოზმა პაველიემა—5 მ.

დეკანოზმა არდაზიანმა—10 მ.

მღვდელმა იმნაძემ—10 მ.

მღვდელმა შატმბეროემა—5 მ.

სემინარიის რექტორმა—15 მ.

მღვდელმა ლონღაძემ—3 მ.

პრიჩეტნიკებმა ერთს მანეთზედ ნაკლებ აღარავინ.“

* * *

ჩვენ გვწერენ ჭუთაისიდამ, რომ გასული თვის 30-ს იქაურ განსაკუთრებით მძიმე საქმეების გამომძიებელს, უფ. ალ. ფიფინაშვილს, რომელსაც სხვათა შორის ანდრეევსკის ქალის საქმეცა აქვს მინდობილი, დაუტუსაღებია თ. ბ. ჩიჩუა. მიზეზი დატუსაღებისა, როგორც ამბობენ, ის გარემოება ყოფილა, რომ გამომძიებელს ორი ხელ-მოუწერელი წიგნი მიუღია, რომელშიაც ემუქრებოდნენ, რომ თუ კვალში ჩაგვიდგები და ასე ერთგულად ეცდები ანდრეევსკის ქალის საქმის აღმოჩენასო, იცოდეო, რომ „ერთი ტყვის შოვნა“ შენთვის არ გაჭირდებაო და უეჭველად მოგკლავს. ამბობენ, რომ წიგნების ხელი თ. ჩიჩუას ხელს შეაფარდეს და მგზავსება აღმოჩნდაო..

* * *

ჭუთაისიდამვე გვატყობინებენ, რომ სვანეთში გაგზავნილ ჯარებს ჯერ-ჯეროობით ვერა გაურიგებიათ რაო; აქ თითო-ოროლა სალდათი მოჰყავთ სვანებისაგან დაჭრილებიო.

მეორე მხრიდამ გუშინ შეეიტყვეთ ვითომც ჯარები შესულიყვნენ გამდგარ სოფელს ჭალდეიში, მაგრამ სახლები და კოშკები რო დაეარათ, ერთი სულიც ვეღარ ენახათ; მთელი სოფელი გარდახვეწილა სადღაც და ცარიელი სახლები დაუტოვებიათ..

ამბობენ, ჯარები მალე დაბრუნდებაო.

* * *

ჩვენ გვითხრეს, რომ ფოთი-თფილისის რკინის გზაზე მოსამსახურე პირები დიდ შემწეობას აძლევენ გადამწვარ ხაშურის მცხოვრებლებსაო. იმათ ერთმანეთში ხელის-მოწერა გაუმართავთ და კარგა ძალი ფული მოუგროვებიათ.

* * *

იმერეთიდამ გვწერენ, რომ გადამდგარი კაპიტანი თ. დავით როსტომის ძე წერეთელი ამ დღეებში სლავიანების დასახმარებელად მიემგზავრება თავის ხარჯით სერბიისაკენ.

* * *

ამბობენ, რომ დიდი ხნით ჩვენს ქალაქში დასახლებულს ფრანცუზის ქალს—ტოლლეს განზრახვა აქვსო, რომ თფილისის მახლობლად შაქრის ქარხანა გამართოსო. შაქარი გაგვიაფდება მაშ....

წერილები რედაქტორთან

I

„უფალო რედაქტორო! თქვენს პატივცემულს გაზეთში 82 №-ში მე სხვათა შორის წავიკითხე, რომ ოსმალეთის საქართველოში ამ ჟამად დაიარება „ჩინებული იტალიელი მხატვარი,“ უფ. პრემაცო და იმას მხატვრობით გადააქვს შესანიშნავი ადგილები, შენობაები, ტიპები და სხვ.

„ამ პატივცემული კაცის მოგზაურობამ მე მომაგონა ჩემი გულითადი წადილი:

„ზარზმიის ეკლესიაში და საფარის ეკლესიაში არიან დახატულნი საქართველოს ისტორიულნი პირნი, ძლიერ შესანიშნავნი, მაგრამ აქამდე იმათი სურათები არ არიან გადაღებულნი.

„ზარზმიის ეკლესიაში არის დახატული სხვათა შორის ორი სურათი მთელის ტანით. უფ. ბროსესა და უფ. დ. ბაქრაძის გამოკვლევით ერთი არის სურათი მეფისა ბაგრატ მე-IV-სა, მეორე აქაური ერისთავის ბიორგისა. ბაგრატი არის დახატული წითლის ხალენით (მანტიით) და ამას ზედგან აწერია „მ ე ფ ე თ მ ე ფ ე.“ აძას უმეფნია 1027 წლისა და 1072 წლებს შუა.

„საფარის ეკლესიაში, კანკლის მარჯვენა მხარეს კედელზე არიან დახატულნი მთელი ტანით სამი სურათი. პირველი არის დახატული შავის ტანისამოსით, და თავზე ჰხურავს პატარა ქუდი, მეორე—წითლის ხალენით, მესამე დიდის ქუდით, რომელიც გვირგვინსა ჰგავს. ამათ სამივესა თავზე ნაწერები აქვთ. უფ. ბროსესა და უფ. ბაქრაძის გამოკვლევით, ეს სურათები არიან სამცხე-ქლარჯეთის მთავრებისა. ერთი არის სარგისი I, მეორე ბექა I, მესამე სარგისი II. პირველი მთავრობდა 1268-გან ვიდრე 1285-დე, მეორე-სარგისის სიკვდილიდგან ვიდრე 1306-დე, მესამე 1306 წლიდგან ვიდრე 1334 წლამდე.

„ამ სამმა მთავარმა აყაელებმა—გააცალკევეს სამცხე-ქლარჯეთი საქართველოდგან და თავის მთავრობის დროს ძლიერ დიდი სიკეთე დასდვეს საქართველოს და ააყვავეს სამცხე-ქლარჯეთი. მაგრამ, საუბედუროდ, დღემდე ამ შესანიშნავი ისტორიული პირების სახეები არ არიან გადმოღებულნი. მე ვგონებ, არ იქნება ურიგო, რომ იმ იტალიელმა მხატვარმა გადმოიღოს ამ წერილში ნაჩვენები კაცების სურათები, ვიდრე დროთა ვითარებას ისინი არ წაუშლია. მე ვგონებ, რომ შთამომავლობა იმას მადლობას ეტყვის ამ სიკეთისათვის; საკურველია, რომ უფ. ნ. ალექსეევ-მესხიევმა ხსენებული მხატვარის ყურადღება მიაქციოს ამ საკანზე.

„ამგვარი ისტორიული პირების სურათები არ უნდა იყვნენ დაკარგულნი და მათი მოკრება ქართველ ხალხს გაუღვიძებს ხალხოსნურს სიამაყეს, და თვით ისტორიკოსიც იმათ სახისა და ტანჩაცმულობიდამ შეიძლებს რასმე დასკვნის გამოყვანას.

„ამისათვის მე იმედი მაქვს, უფ. რედაქტორო, ამ ჩემ წერილს ადგილს მისცემთ თქვენს პატივ-ცემულ გაზეთში, მით უფრო უმეტეს, რომ ახლა გამოვა სამცხე-ქლარჯეთის ისტორიაცა.“

ინგილო ჯანაშვილი

22 აგვისტოს

II

უფალო რედაქტორო! მე წავიკითხე თქვენს გაზეთში ბორის კორრესპონდენტისაგან დაწერილი „დღიურში“, რომელიც ემადრიელება აქაურს პოლიციას მისთვის, რომ ამ ერთის წლის განმავალობაში ბორის მაზრაში ქურდობა მოისპო, რადგანც პოლიცია კარგათ უყურებს და ასრულებს კარგათ თავის მინდობილობასო; ამისათვის უფ. კორრესპონდენტი სიხარულით აღტაცებულა.

სამწუხაროდ ჩემდა, უნდა მოგახსენოთ, რომ ეს კორრესპონდენტი უთუოთ ძალიან მეგობარი ყოფილა ბორის მაზრის პოლიციაში მოსამსახურეებისა და ან ვერ შაუტყვია ცოტა ბორის ქალაქიდან მოშორებულის სოფლის ამბავი მართალი.

აი მე რა მოგახსენოთ: წასრულს თიბათვეში სოფელს ძარს, რუსთავს და დოდოთში თითქმის თუთხმეტ სულამდე დაიკარგა ძროხა და ხარი ღარიბი გლეხებისა, რომელიც აქვს იქაურ მამასახლის და მოსამართლეებს გამოცხადებული; მკათათვეში სოფელს ზაველდაში მცხოვრებელს გლეხს ბაბარაშვილს მოპარეს ერთი ცხენი, სოფელს ქეშელთას კიდევ დაიკარგა ორი ცხენი მეცხვარეების, რომელნიც მწყემსენ სამაჩაბლო მთაში ცხვარს; მარიამობისთვეში ერთს თავადს მოპარეს ორი ცხენი სოფელს თამარაშენს.

აი, ბატონო, ყოფილა თუ არა ქურდობა ბორის მაზრაში. ეხლა შეუძლიან იკითხოს სურამის საპრისტავოში ჩვენს კორრესპონდენტს და იქიდამ შაიტყობს ამაზე მეტს ქურდობასა, დაქარწმუნებთ...

მირმან ჭიოშვილი

„დროების“ კორრესპონდენცია

ქიზიყი, 23 აგვისტოს. ბევრჯელ გაგვიგია და გაზეთებშიაც წაგვიკითხამს ჩვენი მამასახლისებზედ და სხვა სოფლის მოსამართლეებზედ. ამათ საზოგადო აზრი და სინიდისი უწუნებს საქმის უერთგულებას, უქმობას და მოქრთამობას.

დამალული არ არის და არც დასამალია სოფლის მოსამართლეების დანაშაული თავის თანამდებობის აღსრულებაში. ყველა ნათლად ხედავს რომ ისინი არ არიან იურისტები, არ არიან ნასწავლნი და სასოფლო დაწესებულ კანონების ახსნაში და განმარტებაში დახელოვნებულნი. ჩვენი მამასახლისები, და სხვა სოფლის მოხელეები ვერც გაჰბედვენ კანონების განმარტების ტაძარში ფეხის შედგმას და თითის ზიდებას და ან მის დაახლოვებას, მიტომ რომ სასოფლო „პოლოჟენიები“ გაუგებარ და გამოსაცნობ იეროგლიფებათ მიაჩნიათ. ისინი „პოლოჟენიებს“ ვერ კითხულობენ და არც სამართლის გადაჭრაში მით სარგებლობენ და ხელმძღვანელობენ. ტრადიცია და ჩვეულებრივი მამა-პაპური წესები თვის ვალდებულობის გადასახადში ხელს უმართვენ. რაც შეეხება მამულების დაყოფას და ოჯახობის გაყრას და სხვ. ხალხის ერთმანეთში მიფარდეულობას—ჩვენი მოსამართლეები „პოლოჟენიებში“ ჩაუხედავათაც საქმეს არჩევენ მამაპაპურ ჩვეულების მიხედულობით და მოჩიერების ერთმანეთთან მოშველების გვარათ და დათანხმეებით. სხვა საგასაღებო საქმეებს კი, მაგ. გერბის გადასახადს, ბეჭდების დაკვრას და სხვა ამ გვარ ახალ-და-ახალ ფორმაში ჩამოსხმულ წესებს ასრულებენ სხვის მიხედულობით და კითხვით, ისე რომ ამ აუცილებელ მოთხოვნილებაშიც ჩვენი მოსამართლეები სასოფლო „პოლოჟენიების“ დახმარებაში არ საჭიროებენ.

ძრიელ საჭირო-კი არის, ჩვენმა ხალხმა მოსამართლეებზედ დანახვით თვითონაც შეიტყოს თვისი ნება და უფლება, თვისი ვალი და თანამდებობა ერთმანეთში ცხოვრების შეფარდებაში და ყოფა-ქცევაში.

უფრო სასარგებლოა სოფლებისთვის მორგინებულ დებულებაების ერცლათ გაცნობა და განმარტების მიჩვეულობა მოსამართლეებისათვის. სხვა რომ არაფერი, ჩაფრების მათრახებს მაინც ზურგიდგან აიცილებდნენ და საიმათო საბალახო დასახარჯავისგან ჩვენ გალატაკებულ ხალხს დაიცავდნენ. ჩაფრებისაგან შეწუხება და მათი გაყვინიზებული ქცევა-ყოფა ჩვენში ჩვეულებრივ მოვლინებათ დაარსებულა. ქიზიყში ჩაფარზედ ერთგვარი და ხანიერი გამოხატულება დაფუძნებულია: ჩაფარი ცხენიანი, შეიარაღებული, ხელმათრახიანი, ბევრმჭამელი, დიდ-მსმელი, საშინლათ-მლანძღველი, საშინელი ტანისა და ყოფაქცევისა. ჩაფარი რომ სოფელში შევა, დედაკაცები ჯარებს, ბამბის რთვას თავს ანებებენ და აქეთ-იქით იმალებიან, სახლის კარებს დაუკეტავს და მოუხურავს სტოვებენ იმის იმედით, რომ ჩაფარს ვერ გაუძლებს —კლიტე გაუტეხავი და დირე ჩამოუგდები არ დარჩება და „ი ჯანი გაგვარდეს, რაც გინდა ისა ქენ, მეკი თავს მოგაშორებ და არ გაგაუპატიერებინები“.

როგორც ქურდობას, ჩაფრობას ამ უკანასკნელ დროს, ზედ-დატანებით ქიზიყში ხრონიკური სატკივარის ხასიათი მიუღია. ამისათვის საჭიროა ყოველთვის ჩაფრობის ყოფაქცევის და უსამართლობის ზნის გამოაშკარება და დაუფარველობა, სანამ ბეჭედში გამოსული ხმა არ დარჩება უდაბნოში მღაღადებელ გამოძახილათ.

ნეტავი ჩაფრები მამასახლისებს და მოსამართლეებს უპატივრობას არ აყენებდნენ და ამ დალახვით ენერგიას, გულს და გამჭრიახობას არ უკარგავდნენ, თორემ, ჯანი გავარდეს სხვა გლეხის ზურგი კიდევ როგორც იქნება ბევრ მათრახების აკიდებას შესძლებს. მოსამართლებს ჩვენი ჩაფრები გამოეცხადებიან ხოლმე, როგორც მაზრის უფროსი და მაღალი რიხით და ჭექა-ქუხილით წინა-უდებს ბრძანებას და თავის ცხენს და უკანიდგან ზურგზედ მათრახებს უტყლაშუნებს. მასთან მოითხოვეს თამამათ გასაკვებავს—ქათამს, ღვინოს, არაყს, პურს, ცხენისთვის ბალახს, ქერს, ბზეს და სხვ. თუ ბრძანება იმ წამსვე გზირმა არ აუსრულა, ის არის, მათრახი ხელში უჭირავს. მართლა ბევრ მამასახლისს და სოფლის მოსამართლეს თვისი პიროვანი ძალით და ღონით ბევრი ჩაფრები უწყვეტნია ცხენებზედ და სახრებით კუდიდ ქვა უსვრეევინებია,—მაგრამ ეს იშვიათი და არა ჩვეულებრივი მოვლენა მილიონში ერთათ-ერთია და ამის დამშვრეს ან მალე სცვლიან, ან მეორე ამორჩევაში აღარ აირჩევინებენ.

მათრახების ტკაცა-ტკუცს და უპატივრობას ჩვენი მოსამართლეები ადვილათ აიცილებდნენ, თუ ცოტა-ოდნათ მაინც ნასწავლი იქნებოდნენ, ან ამ ახალ დებულებაებს გაიცნობდნენ. ისინი შეიტყობდნენ და დაიმსახურებდნენ მათთვის მირგენილ თანამდებობის ვალს და უფლებას. მაშინ დაინახავდნენ, რომ ჩაფარი მამასახლისის ბრძანებელი კი არა, ხელქვეითია, რომ მამასახლისის ცემა იმას მთლათ სოფლის შერცხვენათ უნდა დაუჯდეს, სოფელი არ არის მოვალე ჩაფარი თავის პურითა და ღვინით კვებონ, რომ ჩაფარს იმავე სოფლის შესატანიდგან ეძლევა თვეობით დადებული ჯამაგირი სახარჯოთ, რომ სოფელში ჩაფარს არავისი ცემა-ტყეპა არ შეუძლიან კანონის ძალით. მაგრამ უცოდინარობის გამო სოფელიც და მოსამართლეებიც ბევრს უნახავს და უშვერ ქცევას ესწრებიან. მასთან ვერაფერი საშუალება „პოლოჟენიების“ გასაცნობათ ჩვენ სოფლებში. მღვდლების გარდა, მარტო მწერლებმა იციან სოფელში წერა-კითხვა, ისიც ხშირათ ამოუღებლათ, ისე რომ ძველათ იპოვება ხანიერი მცხოვრებთაგანი ვინმე ამოღებით და გაგონებით კითხვის მცოდნე. ისიც არის—ბევრს არ ესმის ენა. „პოლოჟენიები“ ქართული ასოებით არის დაბეჭდილი, მაგრამ შინაარსი არც ქართულ და არც რუსულ სიტყვებით არის გამოხატული, ქართული და რუსული სიტყვები ერთმანეთში გადარეულ-გადმორეულია და მასთან სიტყვათა წყობილება აჩენ, რომ ამათი მთარგმნელი ყოფილა კომპეტენტნი, ქართულ და რუსულ ენის მკვიდრათ მცოდნე პირი, თარგმანებში დახელოვნებული კი არა, არამედ ის პირი, ვინმე მაზრის სასამართლოს მწერალი, რომელსაც სოფელში ეძახიან „პროჩიკს“.

საზოგადო ფიქრათ შეიქმნა აზრი, ვითომც ქართველი კაცი უზრუნველი, ზარმაცი და დაუდევარი იყოს თავის და საზოგადო საქმისა. ამ ცრუ აზრს აკერებენ ჩვენ მოსამართლეების მოქმედებასაც, ვითომც იმათი უწესოება და დანაშაული თანამდებობის აღსრულება იმათი ქართველ კაცის აუცილებელ ბუნების თვისებებზედ არის დამოკიდებული. როგორც პირველი, მეორე აზრიც ცრუა და ყოველ დამარწმუნებელ საფუძვლებს მოკლებულია. ვისაც კი ჩვენი ხალხი გაცნობილი ჰყავს და სიცხე-პაპანაქის დროს ის მუშაობაში უნახავს, მისი ერთგულება და ატანა—ის ჭეშმარიტია ამას აღარ იხსენებს. მგრეთვე თუ ჩვენი მოსამართლეების ამორჩევის საშუალებას დაეკვირდება და კარგათ გაშინჯავს, ის დაგეთანხმდება, რომ ჩვენი მოსამართლეები დაუდევრები და ზარმაცები არიან დროებით.

მამასახლისებს და სხვა მოსამართლებს ირჩევს სოფელი კენჭის ყრით. კენჭით ამორჩევას მოსამართლებისას თანა ზდევს მოსყიდული ორატორობა. სიტყვა-ნამაქიანი მოლაპარაკეები ყოველ სოფელში ბლომათ არსებობენ. ამათი დაჯილდოვება და თავისკენ გადაწევა სამოსამართლე კანდიდატს არ უძნელდება. ენა-მჭრე ორატორები თავის პარტიას აესებენ და კენჭის ყრის დროს სიტყვის დაწყებითვე, დამზადებული და გაძრახებული პარტიზანები კენჭებს იმისკენ და იმის მაქებელ კანდიდატისკენ ისვრიან. ამნაირის სახით მომეტებულ ნაწილათ მოსამართლებათ და მამასახლისებათ, მოხელეებათ ამორჩევიან ხოლმე იმისთანა პირები, რომლებსაც სასოფლო მომეტება ვერ უთანაგრძნობს. ამ მოსამართლების ხელში ორატორებს ცხოვრება უადვილდებათ და უსიამოვნდებათ, რადგანაც ბეგარას გასელის ჯერი ეკარგებათ, კბირებიდგან ნაბდების და იარაღების ზიდილს თავიდგან იცილებენ. თუ კიდენ ისინი გაათანასწორეს სხვებთან და ცოტაოდნათ დაპირებულ წყალობას მოაკლდნენ, მოსამართლეს დღე უმოკლდება და მალეც თავის უფროსობის ტახტიდგან ხდება.

ამ სახით ამორჩეულ მოსამართლეებს მოეთხოვება საქმის გადაჭრაში სიმართლის და ჭეშმარიტების დეენა? თუნდა უსამართლობა და დანაშაული ჭეშმარიტების წინააღმდეგ შეემცნას მამასახლისს. ყოველ კაცურ სიმართლის კანონებით არ დაისჯება. სოფლის მოსამართლეებს სასოფლო საქმეების მართვისა არა ეძლევათ რა საზდო. ისინი პიროვანი თავისუფალი და აზადები არიან საბეგრე გადასახადიდგან, მაგრამ სოფლის ხარჯს მთლათ იღებენ. თუ სურდათ სასოფლო მართველობა გაემჯობინებიათ და გლეხებ შუა სიმართლე და ჭეშმარიტება დაემყოფებინათ, უნდა მოსამართლეების ამორჩევის შესახებ გამოეცნათ, რომ ამორჩეული საშუალება მიზანს ვერ ამართლებს და ამხნევს. დამალული არ არის რომ მოსამართლეები ქრთამს იღებენ, ხალხმაც კარგათ იცის, მაგრამ ის წარსულის მიხედულობით მოქრთამობას არა ჰკიცხავს.

წარსულ დროს ეკუთვნის ნათქვამი: „ეს ტიელი ჩემი ჯიბე ვტენე, ვტენე, ისე მოვკვდი, ვერ გავტენე“. წარსული და მამა-პაპური ჩვეულება აუცილებელ რჯულათ მიაჩნია ჩვენ კაცს; ჩვენ მოსამართლეებსაც მოქრთამობა დანაშაულათ არ მიაჩნიათ. ქიზიყური მოსამართლე ფიქრობს: „სახლხა მოვშორდი, ოჯახში ვერას ვაკეთებ, აზადიც არა ვარ, მარტო მენდალს რას გამოვრჩე, რით ვიცხოვრო“. ამ ფიქრზედ დამჯდარი, მოქრთამობაში ის სინიდის და სიმართლის ქვეშ არაგვარ დანაშაულს ვერა ხედავს. არც რამე სხვა მოტივების გამო ის იძულებული ვერ გახდება თავის ჯიბეს და პიროვან გამორჩომას უღალატოს, გარე-შემორტყმულ ცხოვრების პირობებსა ხედავს და იმათი გზით მიდის ღაუცილებლივ. დარწმუნებულია-არა-ერთ-მაგალითით, რომ საზოგადო ფიქრი და სინიდისი მოსამართლეებს არ კიცხავს და ჯეროვან გადასახადს არა სდებს უსამართლობაში და მოქრთამობაში.

თუმცა ჩვენი ხალხი შორით დაცილებულია იმ სენს და დამალპობელ სატკივარს, რომელსაც დემორალიზაციას ეძახიან, მაგრამ ცხოვრების და ისტორიის ვითარების ძალდატანებით საზოგადოებას, საზოგადობრივი გრძნობა დაუხშვია და დაუკარგავს. მისი ზნეობა და სინიდისი მიმდინარეობს ორ პირ-და-პირ მდებარე პოლიუსებ შუა.

ცხოვრების და ოჯახური ყოფა-ცხოვრების პირობების გამო, ჩვენ ხალხს გამოუმუშავნია კეთილ-სასიამოვნო, კეთილ—ზნეობითი მხარეები, რომლებიც შეადგენენ მის ძვირფას მორარულ ქონას,—მეორეს მხრით სხვა-და-სხვა ამა მარჯვე მიზეზების განვლენის ქვეშ შეუთვისებია გასაკიცხავი ჩვეულობა და მიმართულობა. ამის გამო ბუნებით ნიჭიერ და გამჭრიახ ხალხში სანთლითაც არ მოიპოვება ერთობა, ერთგულობა, საზოგადო საქმისთვის თავ-განწირულობა.

ქიზიყის ხალხს აქვს საზოგადო სურვილი კეთილ-დღეობის მიღწევისა, საზოგადო სენის გრძნობა და გაცნობა, მაგრამ მოკლებულია საზოგადობრივ მითვისებას, ერთობით თვით-მოქმედებას, ინიციატივას თავის სურვილის აღსასრულებლათ. ის მიეჩვია საბლით თრევას. ჯოხით ბარბაცს, ბრძანების მორჩილობას და დამონაევებას, პირის მოჭირებას და უსიტყვობას. ის თავის საქმის დასაწყისს და საბოლოო გამოკვლევის უფლებას მოკლებულია და საზოგადობრივ ცხოვრებაში მონაწილების მიღების ვალის განტვირთულია. ამათ ნაცვლათ ჩვენ კაცს დარჩა თვისი თავი და ტანი, თვითშიაც ჩაღრმავდა და სრულებით ჩაიქცა. ამის მიხედვით ის ძრიელ გაჭიძვით ვითანახმება და ემორჩილება ყოველ მოვლინებას და ძალას იმის აწყმყო კულტიდგან და ყოფა-წყობილების გამოსასყიდლათ მორგინებულს. ქიზიყის ხალხი მოსამართლეებს და სხვა უსამართლობას ემდურის. ამათი მიზეზი სხვათა-შორის მის უმეცრებაში ცოცხლობს და ბურჯს იდგამს. უმეცრება უპირდაპირებს ცოდნას, განათლებას, გონებითი და ზნეობითი ამაღლებას. ცოდნა არის ძალა და არა მარტო ინტელექტური და მორალური, არამედ ეკონომიურიც და იურიდიკულიც. ხალხი ცოდნას მიიღებს შკოლებში, მაშასადამე შკოლები —ძალაა და მარტო სახალხო შკოლა. ყველა გლეხს ესმის, რომ ცოდნა და სწავლა არის ძალა იურიდიკული. ყველა ახალგაზდა ნასწავლი კაცი, თუ იმას დაახლოვებით გაუცვნია გლეხი, დაგვერწმუნება, რომ გლეხის იდეალი, რომელსაც უჭვერეტს და ეძებს სწავლა-განათლებაში ჩინოვნიკობა, „ნაჩალიკობა“, სუდიაობაა. სხვა სამსახურზედ არ შეხედავს და პატივსაც არა სდებს ხოლმე.

ვინც ჩვენ გლეხთან დაახლოებით დგას და ცნობა აქვს, საუბედუროთ, დასამალი არ არის, რომ ნასწავლი ყმაწვილები ქიზიყში თავებს ძრიელ მაღლა იღებენ და თუ გლეხთან ლაპარაკს იწყებენ—იმასაც თვალების პლარტნით და ცისმარისკენ ცამცამით, მასთან ან სულ „მწაელულ“ ენით, უცხო ენის სიტყვა-პასუხის

ჩართვით, ან კიდენ ხალხურ მანერზედ ჯიმილით და სიცილით „ყე“, „ი—ს“ უადგილოთ და ხშირათ იმეორებენ. სიტყვა-პასუხი უფაქიზესი გამოდის და გაშტერებულ გლეხს დაცინვით ეჩვენება—და გაჯავრებული გაბრუნებაში დაიდუნებს ხოლმე—„მუტრუკები წახვედით და ვირები მოხვედით, შვილო!“—ის დაიმოწმებს, გლეხს ძრიელ სურს თავის ცხოვრების მეხანიზმის წყობა—კეთების გაცნობა და ალაგის მიდგომა. მაგრამ ძნელია სიტყვით იმისი დარწმუნება, რომ მის ხელში ჩართულ საშუალებით სურვილის და გამოძიების წადიერების დასაკმაყოფილებლათ მარტო ერთგვარი ამ ხელათ ძალაა—ცოდნა, სწავლა, შკოლა. უფრო განუელელად რჩება ყოველი სიტყვითი რჩევა, რადგან საუკუნოს მაგალითით დარწმუნდა, რომ შკოლა ძალა კი არა, ულონობა და ზნეობით დაცემის და სილარიბის წყაროა.

ბოდბელი

(შემდეგი იქნება)

უცხო ქვეყნები

ოსმის ამბავი. სერბიელების ალექსინაცთან უკანასკნელ დამარცხების შემდეგ, ალარა ისმის რა ბრძოლის ველიდამ; მაგრამ გაზეთებიდამ სჩანს, რომ სერბიის უმთავრესი ჯარი ჩერნიაევითურთ, ალექსინაციდამ დაბრუნებული, დელიგრადში დაბანაკებულა (პარაჩინსა და ჩუპრიას შუა). ახლა აქ მოელიან შეტაკებას, მაგრამ თუ ალექსინაცის სიმაგრემ ვერ უშველა სერბიელებს და აქ, ვერ გამაგრდნენ, საფიქრებელია რომ ვერც აქ, ამ დელიგრადთან გამაგრდებიან, რადგან, როგორც ამბობენ, ეს ქალაქი ძალიან სუსტათ არის გამაგრებული და ამის გამო აბდულ-ჰერიმფაშის დიდძალ ჯარს (60,000) ვერ გაუძლებსო.

— არც ჩერნოგორიაში მიდის უკეთ სლავიანების საქმე: ოსმალოს ჯარმა დაიპყრო ტრებინე და ბრახოვო და ამნაირად მუხთარ-ფაშა 30,000 კაცით ახლა თითქმის შუაგულ ჩერნოგორიაშია დაბანაკებული. აქაც, როგორც წინათ ბულგარიაში და შემდეგ სერბიაში, თავისებურად ექცევიან ოსმალოების ჯარები, განსაკუთრებით ბაშიბუზუკები და ჩერქეზები დაპყრობილ ხალხს: ქალაქებსა და სოფლებს ცეცხლით სწვენ და უძლურ მოხუცებულებსა და ბავშვებს შეუბრალებელად ხოცვენ და აწვალებენ.

—

ოსმალეთი. ახალს ხონთქარს აბდულ-ჰამიდს გამოუცია ახალი „ჰატტი“ (მანიფესტი), რომელშიაც სხვათა შორის გამოცხადებულია, რომ ოსმალეთში შემდეგი ცვლილებანი (რეფორმები) უნდა მოხდესო: უნდა დაწესდეს უზენაესი რჩევა (პარლამენტი), რომლის მოვალეობა ის იქნებაო, რომ სახელმწიფო კანონები დაიცვას და ყურადღება მიაქციოს ფინანსების მდგომარეობას; უნდა გამოიცეს კანონი, რომელიც ქრისტიანებსა და მაჰმადიანთ გაათანასწორებს ოსმალეთში, რადგან ორივე ესენი „ერთისა და იმავე სამშობლოს შვილები არიანო.“ შემდეგ ამ ჰატტში მოხსენებულია, რომ მმართველობა ყოვლის ღონის-ძიებით ეცდებაო, რომ დაამშვიდობოს სერბია, ბერცოგოვინა და ბოსნია, რომ ამ ქვეყნებში სისხლის ღვრა მოისპოსო და იმედიცა გვაქვსო, რომ მალე მშვიდობიანობას დავამყარებთო და სხვ.

—

ინგლისი. დიდი მოძრაობა არის ამ ჟამად ინგლისში ოსმალეთის საქმეების თაობაზე. ლონდონში და ბევრ სხვა უმთავრესს ქალაქებში მიტინგებზე იკრიფება ხალხი და დიდ უკმაყოფილებას აცხადებენ თავის მმართველობაზე იმისთვის, რომ ის ენერგიულად წინ არ აღუდგა იმ ხალხის ხოცვას და მხეცურ მოქმედებას, რომელიც ოსმალებმა ბულგარიაში და საზოგადოთ სლავიანურ ქვეყნებში ჩაიდინესო.

ერთს ამ გვარს კრებაზე (აინტინგზე) ბლადსტონმა წარმოსთქვა დიდი სიტყვა, რომელშიაც გამოაცხადა ის ჰზრი, რომ ინგლისი რუსეთს უნდა შეუერთდეს და ერთად უნდა გაარიგონ ალმოსავლეთის საქმეებიო, ერთად უნდა ეცადნენო, რომ სლავიანები იპატიონო და სხვ.

ისტორია

თეოფილაქტე რუსანოვი

პირველი ეკზარხოსი საქართველოისა *)

(1765—1821)

II

თეოფილაქტემ მიიღო თუ არა ბერობა, ძლიერ მალე აიწია 1792 წ. მან გაათავა კურსი ალექსანდრიის სემინარიაში და 1795 წელში მიიღო არხიმანდრიტობა. 1798 წელს, როდესაც ის კიდევ არხიმანდრიტი იყო, დანიშნა მართველობამ უფწმინდესის სინოდის წევრათ და 1799 წლის დასასრულში, იყო დანიშნული კალუჟსკისა ეპისკოპოსათ; ამ დროს თეოფილაქტე ოც-და-ცამეტი წლის იყო. ასე უცფად მისი აწევა სამაგალითო საქმეს შეადგენდა მაშინ: ფილარეტი თოთხმეტი წლის მსახურების შემდეგ გახდა პეტერბურღლის ვიკარად.

III

თეოფილაქტე მრავალს ადგილას მსახურებდა სხვა და სხვა სასწავლებლებში საღმრთო წერილის მასწავლებლად და ყველა ამ სასწავლებლის უმფროსები ხედავდენ შესანიშნავს ცოდნას და ნიჭს თეოფილაქტეში. ეს მართლა ძლიერაც დაეხმარა მას, რომ ასე მალე ადიოდა მაღალ ხარისხზე. ბოლოს იქამდინ მიაწია მისმა ხმამ, რომ იმპერატორმა პავლემაც კი მიაქცია მას ყურადღება. მაგრამ სასულიერო მთავრობის მხრით ბევრი შემწე მას არავინ ყოლია.

ამ დროს პეტერბურღლის მიტროპოლიტად იყო ბაბრიელი. მეკატირინე მეორეს დროს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბაბრიელს, მაგრამ იმპერატორი პავლეს დროს კი ისე არ აფასებდა მას. ამ დროსვე წმ. სინოდში იყო წევრათ ყაზანის არხიეპისკოპოსი ამეროსი პოდობედოვი, რომელიც თუმცა დიდი განათლებული კაცი არ იყო, მაგრამ მაგივრად ოსტატი და თავის-მოყვარე კაცი კი იყო. თავის მიზნის მისაღწევად და აზრის ასასრულებლად არაფერ საშუალებას არ ზოგავდა. ამან მოიმდომა პეტერბურღლის მიტროპოლიტობა. თან-და-თან დიდი გავლენა მოიპოვა პეტერბურღლში და ბაბრიელი კი ყველას ავიწყდებოდა. თეოფილაქტე კარგად ხედავდა, რომ ამეროსის მხარე ძლიერი იყო, მაგრამ ის მიუდგა ბაბრიელს და ყოველს შემთხვევაში გონიერ რჩევებს აძლევდა მას. ამეროსის პარტიამ მალე გაიგო ეს, დაიწყეს სხვა და სხვა მანქანებითი მოქცევა, რომ როგორმე გზით თეოფილაქტე მოეშორებიათ ამეროსისაგან; და ეს შემთხვევა ძლიერ მოეხმარა მას: სხვა რომ ვერაფერი მოახერხეს, ქალუგის არქიერათ დანიშნეს. მის ეპისკოპოზობის ხიროტანიაზე დაესწრო თვით იმპერატორი პავლე.

IV

ქალუგის ეპარხიაში თეოფილაქტე დარჩა ათი წელიწადი. აქ ერთს უბრალო საგანზე მოუვიდა უყმაყოფილება მოსკოვის მიტროპოლიტს პლატონთან. ამ შემთხვევისა გამო პლატონი და თეოფილაქტე არაოდეს ალარ ყოფილან კარგი გაწყობილებით ერთმანეთში.

ქალუჟსკის ეპარხიაში ყველაზე შესანიშნავი კეთილი საქმე გააკეთა თეოფილაქტემ ის, რომ სასულიერო სემინარია გახსნა. ამ ეპარხიას არც ფული ჰქონდა და არც სხვა საშუალება იყო სემინარიის ასაშენებლად, მაგრამ იმან ყველა მოახერხა. სახლრციელო მთავრობას ერთი გაუქმებული პრისუტსტვიის სახლი ჰქონდა. თეოფილაქტემ ეს სახლი მოითხოვა და სახლრციელო მთავრობამ დროებით ათხოვა, რადგან მას ქველანი პატივს სცემდნენ. ეს სახლი თეოფილაქტემ გადააკეთა და მაშინდელი გახსნილი სემინარია დღესაც არის. შემდეგში სახლრციელო მთავრობამ ბევრი ითხოვა ამ შენობის უკან დაბრუნება, მაგრამ სასულიერო მთავრობამ იმდენი ფასი მოითხოვა გადასაკეთებელი, რომ იმფასათ სულაც არ ღირდა სახლი და დღესეც ეს სახლი სემინარიათ არის დარჩენილი!

ამეროსი, როგორც იქმნა, გახდა პეტერბურღლის მიტროპოლიტად. თეოფილაქტეს დარჩენა ერთს და იმავე ეპარხიაში ათი წლის განმავლობაში, რასაკვირველია, პეტერბურღლის მიტროპოლიტის ამეროსის წყალობით იყო, რომელსაც კიდევ კარგად ახსოვდა თეოფილაქტეს მეგობრობის დრო მის წინა მოადგილეს ბაბრიელთან. იქნება კიდევ დიდხანს დარჩენილიყო ერთს და იმავე ადგილას, მაგრამ, მის-და ბედათ, ამ დროს ე. ი. ჩყბ-ს წელში მართველობამ მოიმდომა სასულიერო სასწავლებლის გაუმჯობესობა და, როდესაც კომიტეტის შესადგენად გონიერ კაცებს ირჩევდნენ, ამისთანა კაცების რიცხვში მოჰყვა ერთად თეოფილაქტეც; მაგრამ ამეროსის მომდომით კი არა; უფწმინდეს სინოდში ობერ-პროკურათ იყო თ. ბალიცნი კარგი მეგობარი თეოფილაქტესი.

სასულიერო წოდების საქმე ამ ხანებში ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ თეოფილაქტეს ყოფნა პეტერბურღში მისთვის ცუდი და უსარგებლო არ იყო. მართალია, ამეროსიმ თავის სურვილი შეასრულა, გახდა პეტერბურღლის მიტროპოლიტად და ბაბრიელის ადგილი დაიჭირა, მოახერხა ისიც, რომ უფწმ. სინოდის ობერ პროკურორიც კი მოიშორა თავიდამ, მაგრამ არც ის დაურჩენიათ კარგათ: მიტროპოლიტს ობერ პროკურორებთან უმეტესად მოსდიოდათ ლაპარაკი სახაზინო ფულის თავისუფლად ხარჯვაზედ. ბოლოს როგორც იქნა იმპერატორის ყურადღებამდისინ მიაწია იმ ხმამაც, რომ მიტროპოლიტი ასი ათასი მანეთობით ხარჯავდა ყოველ წლობით თავის ნებით, მაგრამ რაზე—კაცმა არიცოდა, და ამისთანა სხვა ხმებიც ბევრი გამოვიდა. ამასთან გამოჩნდა ისიც, რომ მას ქონდა მეტის-მეტი კავშირი საშინელი მექრთამე კაცთან უფწმ. სინოდის ობერ სეკრეტარ ბუტკოვთან.

N.

(შემდეგი იქნება)

ნარევი

ჩვენი ბანკის მოტრფიალენი

ჩვენის ბანკის გახსნისა
ველა მოხარულია:
ყურულოვი სარქისა,
მასთან მოშა ურია.

—

თავადნი, აზნაური
„ვოდნი ლისტებს“ ილებენ;
ველა გულ-მხიარული
მამულს აგირავებენ.

—

ცხენებს და მეძებრებსა
თავადი ეხლავ ეძებს;
ბამოტანილ ფულებსა,
მერწმუნეთ, ველას არგებს.

—

ბანკიდამ ფულებს ილებს
უფრო ძალლებისათვის,
რასაც მათ გადაარჩენს
ინახავს შტოსისათვის.

—

ალერსით კნეინები
ულს ეხვევიან ქმრებსა:
„შენ კი გეთაყვანები,
„ხომ ავიღებთ ფულებსა?

—

„სოფელში არ შეგვფერობს,
„ვიცხოვროთ ქალაქებში;
„ოფნა ყოველთვის გვიჯობს
„ჩვენ ტოლ-ამხანაგებში!“

—

რათაც არ ელირება
ზოგის ადგილ-მამული,
ჰსურს იმოდენი აიღოს
ჩვენი ბანკიდამ ფული.

—

ფიქრობს: აცენშჩიკებსა
მოვსცხებ ისეთს მალამოს,
რომ მათმა შეფასებამ
ჩემს საწყალ გულს აამოს.

—

*) იხილე „დროება“, № 85.

ქარტის ოსტატი ამბობს:
„ბანკი ჩემთვის კარგია!
„როგორც რომ ამ ჩემს ჯიბას,
„ისე არვის არგია.

—

„აი ეს უმაწვილები
„ბანკში ფულს აიღებენ;
„ხან მთვრალი, სან ფხიზლები
„სულ ჩემთან წააგებენ.

—

ქალები ყოველ დღესა
ფერ-უმარილს იცხებენ;
ბანკიდამ სარგებელსა
ისინიც აიღებენ.

—

ბევრის წლის ნისიებსა
ვაჭარი ეხლა ელის;
შლის ძველ თამასუქებსა,
სიხარულით შეჰმღერის.

—

იზვოშჩიკიც დღე-და-ღამ
იურვებს თავის ცხენებს;
ბამოტანილს ბანკიდამ
ისიც მოელის ფულებს.

—

მსაჯულსაც ზოგიერთსა
ზარალს ბანკი არ მისცემს,
საჭირო ქალალდებსა
რადგან ის დაამტკიცებს.

—

მართლაც რომ ზოგიერთი
მე მსაჯული მინახავს....
შეეწიოს მას ღმერთი!
საწყალ წვრილ ცოლ-შვილი ჰყავს!

—

ვინ არის იმისთანა,
რომ ჩვენ ბანკს არ ეტრფოდეს;
სარგებლობას მისგანა
ისიც არ მოელოდეს?

—

ათას ნაირ მ.ხესა
ფულებისთვის აგებენ;
ყველა მოითბობს ხელსა,
ვიცი, არ წააგებენ.

—

თავადი, აზნაური
„ვოდნი ლისტებს“ იღებენ;
ყველა გულ-მხიარული
მამულს იგირავებენ.

—

ამით ბანკის გახსნისა
ყველა მოხარულია:
ყურულოვიც სარქისა,
მეტათ მოშა ურია.

დ. ლეონიძე

ს. ქაცხი, 1876

განცხადებანი

ეკატერინა ჭრელაევისა თავის შვილებით გულითადის მწუხარებით აცხადებენ **დეკანოზის გრიგოლ ჭრელაევის** მიცვალებას და უმორჩილესად სთხოვენ მიცვალებულის ყველა ნათესავებსა და ნაცნობთ მობრძანდნენ იმის გამოსვენებაზე ქაშვეთის ეკლესიაზე, კვირას, 5 სექტემბერს, დილის 9 საათზედ.

LA VELOUTINE
(ველუტინი)

ერთნაირი ბრინჯის **კუდრი** (უმარილი), ბისმუტით გაკეთებული.

ისეთი ზედმოქმედება აქვს ადამიანის ხორცის კანზე, რომ ალბობს და ახალგაზდა ადამიანის კანს დაამსგავსებს.

ქანს ეკერება და არა სჩანს.

შ. ფაი — გამომგონი

—

pommade satin
(ატლასის პომადა)

ხელების კანის რბილად შესანახავად; ზამთარში არ დაუსკდება ხელის კანი, ვინც ამ პომადას ხმარობს.

9, Rue de la Paix, Paris
156—58

დაიბეჭდა და ისყიდება
თამარ საქართველოს
გატონისშვილი
ისტორიული რომანი
გ. რჩეულოვისა.
თფილისში: მელიქიშვილის და ამხ. სტამბაში და ენფიაჯიანცის წიგნის მაღაზიაში.
ფასი ყველგან ექვსი შაური.

საუკეთესო საშუალება
თაგვების, ვირ-თაგვებისა და ბუზანკალის გასაწყვეტად
რის ზუტმანი, ქიმიკოსი პემტიტამ,

იმპერატორის **სასახლის მეიჯარადრე**

რომელსაც პრიველეგია აქვს **უცხო ქვეყვების სასახლეებისაგან.**

პატივი მაქვს პატივცემულ საზოგადოებასა და მოვაჭრეებს წარუდგინო ჩემგან მოგონილი საშუალება თაგვების, ვირთაგვებისა და ყოველგვარი ბუზანკლების, როგორც მაგალითად: ნამის ჭიისა, ჩრჩილის, ჭინჭველის და კედლის-ტილის გასაწყვეტად. ხსენებული საშუალება ჩემგან შედგენილია და მთელს მერიკაში ცნობილია, როგორც საუკეთესო საშუალება.



1872 წლის მოსკოვის პოლიტეხნიკურ გამოფენისდროს ამ საშუალების გამოგონისათვის, დიდ ვერცხლის მედალმივიღე და აგრეთვე ვენის გამოფენაზე 1873 წელსა.

გამომგონი პასუხს აგებს.

ვინც ნარდათ იყიდის, უფრო ნაკლებ ფასად დაუთმობენ.

ფასი-კურანტი:

წამალი თაგვებისა, ვირთაგვებისა და თხუნველისათვის — 1 მ. და 50 კ. პარაშოკი ნამის ჭიისა, ჩრჩილისა, ჭინჭველისა და რწყილისათვის ღირს 1 მ.; ამასთანავე რეზინის შხაპუნაა საჭირო, რომელიც 60 კაპ. ღირს. ქედლის-ტილის წამალი — 1 მან.; სასიამოვნო სუნი აქვს და არც ლაქას დასტოვებს, რაზედაც დაასხმენ.

დაბებრებული ხორცის (მაზოლის) წამალი, ერთი ბანკა — 60 კაპ.

უმთავრესი დეპოზარის თფილისში, **დ**ეორცოვის ქუჩაზე, **ა**რწრუნის ქარვასლაში, **ლ**ანკოს მუზიკის მაღაზიაში; **ვ**ლადიკავკაზში, **ს**ეგალთან, **ა**ლექსანდროვსკის პროსპექტზე, **ლ**ებედევის სახლში; **ს**ტავროპოლში — **ა**ურილჩენკოსთან.

ამ ქალაქებს გარეშე მცხოვრებლებმა ფოჩტის ფული ცალკე უნდა გამოგზავნონ. **აქვე ისყიდება თმის საღებავი.** 54—30

კავკასიის საბებიო ინსტიტუტი
სამშობიარო ღოშპიტლით
(ვერაზე, ფოჩტის სტანციის მახლობლად)

მშობიარე ქალებს ყოველ დროს დღე და ღამე მიიღებენ. **ა**ქიმობისთვისა და საწოლისთვის დღეში ათი შაურია; ღარიბები მუქთად. **ღ**ოშპიტალში არის ცალკე (საიდუმლო) ოთახები თვეში 30-50 მანეთად.

რჩევისათვის ავათმყოფებს ყოველდღე მიიღებენ, კვირის გარდა; ვიზიტისა და წამლის ფასი ექვსი შაური; ღარიბები მუქთად.

ყოველ დღე დილის 8 საათი დამ $9^1/_2$-მდი დოქტორი **ა**რტემიევი და $9^1/_2$-დამ 11-მდი დოქტორი **ა**ნანოვი.

ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, დილის 11 საათიდამ 12-მდი დოქტორი **ა**ლბანუსი და **ა**კაპელერი.

ოთხშაბათობით, 12 საათზე რჩევა რემერტისა, **ა**ლბანუსისა, **ა**ნანოვისა და **ა**რტემიევისა.

ცეცხლის გემები

ა) **ფ**ოთიდამ მიდის:
ოდესისკენ — შაბათს დილის 8 საათ.
სტამბოლს — კვირაობით, დილას.
ბ) **ო**დესსიდამ:
ფოთისკენ — ორშაბ. ნასად. 3 საათ.
სტამბოლს — ოთხშაბათს, შუადღეზე

ფოთიდამ:	I		II		III	
სოხუმამდი .	4	„	3	„	1	„
ქერჩამდი. .	20	50	15	50	5	„
ტაგანროგ.	34	„	27	„	8	60
ოდესსამდი.	38	„	30	„	9	60

ტელეგრაფი

	მ.	კაპ
ოცი სიტყვა **თ**ფილისიდამ:		
ქუთაისს, **ფ**ოთს .	1	—
ბორს, **ლ**ეშეთს, **ს**ილნახს		50
ოსტოვს **ო**დესას **მ**ოსკოვს	2	—
პეტერბურგს, **ვ**არშავას . .	2	—
ოსმალეთში, **შ**ვეიცარიაში	3	—
იტალიაში და **ს**აფრანგეთში.	3	50
ინგლისში.	3	75

ფოსტა

ა) **თ**ფილისიდამ:
სამზღვარ გარეთ, **ქ**უთაისს, **რ**უსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. **ზ**უგდ. ოთხშ., **ო**ზურგეთს — პარასკ. და ორშაბ. **ბ**აქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. **ა**ხალეთს — სამშ. და შაბ.

ბ) **ქ**უთაისიდამ:
თფილისისა და **ფ**ოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. **ო**ზურგეთს — ორშ. და პარასკ. **ზ**უგდიდს — ოთხშაბ.

გ) **ბ**ორიდამ.
ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) **ფ**ოთიდამ:
ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

	კაპ
წიგნის გაგზავნა **რ**უსეთში **ა**ნ **ს**ამზღვარ გარეთ:	
ლია **წ**იგნის	4
და**ბ**ეჭდილის (სამი მისხალი) .	8

ბირჟა

პეტერბურგი, 27 აგვის.

	მან.	კაპ
ერთი მანეთი ღირს:		
ლონდონში $3^1/_2$ პენსი.	—	84
პარიჟში $331^1/_2$ სანტიმი.	—	89
ამსტერდამ(სარგებლისფასი)	6	—
ბანკის ბილეთი 5%	99	25
მოგებიანი(პირველისესხი)	198	—
მოგებიანი (მეორე სესხი)	196	50
ბირაოს ფურცლები:		
თფილ. საზ. ბანკისა.	—	—
ხერსონის ბანკის ($5^1/_2$)	88	—
მოსკოვის (5%). . . .	91	25
აქციები:		
ოდესის სავაჭრო ბანკის	158	—
ფოთი-**თ**ფილ.რკინ. გზის	139	50
შავიზღვის ცეცხ. გემების	530	—
კავკაზის და **მ**ერკურის. .	205	—
პირვ. საზღვევ. საზოგ.	724	—
პეტერბ. საზღვევ. საზ.	263	—
მოსკოვის საზღვევ. საზ.	260	—

მაზანდა

თფილისი, 31 აგვის.

	მან	კაპ
პური **შ**ორაგალის ფთ.	—	80
ქერი ფუთი. . . .	—	60
ბამბა **ქ**რევნისა, ფუთი .	5	50
— **ა**მერიკისა, ფუთი. .	6	30
ბა**პ**ენტილი ბამბა ფთ.	8	—
მატყლი **თ**უშური ფთ .	7	50
— **თ**არაქამისა ფთ. .	7	50
აბრეშუმი ნუხური გრ.	2	60
ქონი, ფუთი. . .	4	—
ქონის სანთელი ფუთი.	5	60
სტეარინის სანთელი, ფ.	10	30
ხორცი **ქ**როხისა, ლიტ.	—	45
— **ცხ**ვრისა, ლიტრა. .	—	50
სპირტი, ვედრო. . .	6	60
შაქარი, **ბ**რრ.ც. ფუთი .	6	80
— **ფ**ხვნილი ფუთი . .	5	70
ყავა **გ**რგვალი ფუთი .	19	—
ზეთი **ქ**ონჯუთისა ფთ.	5	50
ოქროო $^1/_2$ იმპერიალი. .	6	25

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	36	4	54				
მცხეთა. . .	—	—	—	—	-	68	-	38
ბორი . .	12	21	8	41	2	40	1	23
ხაშური . .	2	—	11	10	3	92	2	18
ბეჟათუბანი	—	—			4	42	2	46
ყვირილა .	—	—			5	81	3	23
ქუთაისი. .	8	23			6	75	3	75
სამტრედია .	—	—			7	73	4	29
ახ.-სენაკი .	—	—			8	57	4	76
ფოთი. . .	11	44			9	75	5	42
ფოთი . .	8	40						
ახ.-სენაკი.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	—	—			2	6	1	14
ქუთაისი .	11	51			3	4	1	69
ყვირილა. .	—	—			3	98	2	21
ბეჟათუბანი	—	—	**ღ**ამე		5	33	2	96
ხაშური . .	5	41	1	6	5	84	3	24
ბორი . .	7	23	3	6	7	36	4	9
მცხეთა . .	—	—			9	8	5	4
თფილისი .	10	16	7	24	9	75	5	42

Дозволено цензурою. Тифлисъ, 3 Сентября 1876 г. Типографія Меликова и К°. ბამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.